

იცვლილებები ძალაშია 06.11.2024 - დან.

ინტერნეტ-გვერდზე [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge) განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:

1. შეიცვალოს თავი IX -ის დასახელება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**თავი IX – „საბანკო პროდუქტების ნაკრებით“/„საბაზისო საბანკო პროდუქტებით“ სარგებლობა**

2. საბანკო მომსახურების პირობების 26-ე მუხლში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კლიენტისათვის აღნიშნული თავის სპეციალური დებულებებით განსაზღვრული საბანკო მომსახურებების განწევა ხორციელდება საბანკო პროდუქტების ნაკრებით/საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობაზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის კლიენტი უკვე სარგებლობს საბანკო პროდუქტების ნაკრებით/საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული სერვისებით/საბანკო პროდუქტ(ებ)ით, მაშინ კლიენტზე უკვე დარეგისტრირებული საბანკო პროდუქტ(ებ)ის ხელახალი რეგისტრაცია და აღნიშნულ პროდუქტებზე ახალი ხელშეკრულებების/შეთანხმებების გაფორმება აღარ ხდება.

3. საბანკო პროდუქტების ნაკრებით/საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის ხელშეკრულება მოქმედებს ბანკში კლიენტის ყველა ანგარიშის დახურვამდე.

4. საბანკო მომსახურების პირობების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს საბანკო პროდუქტების ნაკრებით/საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფები. კლიენტი ადასტურებს, რომ გაეცნო საბანკო პროდუქტების ნაკრებით/საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობისთვის დადგენილ შესაბამის ტარიფებს, ეთანხმება მათ და პრეტენზია არ გააჩნია.

5. ის საკითხები და ასევე ის ტარიფები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით/წინამდებარე დოკუმენტით და საბანკო პროდუქტების ნაკრებით/საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფებით, განისაზღვრება თითოეულ საბანკო მომსახურებაზე/პროდუქტზე გაფორმებული ხელშეკრულებით/შეთანხმებით და ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტული ტარიფებით.

3. მუხლი 29<sup>4</sup>. „საბანკო პროდუქტების ნაკრები - „სახელფასო ანგარიში“ შევიდეს შემდეგი ცვლილება/დამატებები:

მუხლი 29<sup>4</sup> სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საბანკო პროდუქტების ნაკრები - სახელფასო ანგარიში“

4. შეიცვალოს 29<sup>4</sup> - მუხლის 1, 2 და 4 პუნქტები, ხოლო მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს:

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბანკო პროდუქტების ნაკრებით სარგებლობის შესახებ - სახელფასო ანგარიში“. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შეუძლია ფიზიკურ პირებს. მოცემული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს ინტერნეტ/მობაილ ბანკი.

2. „სახელფასო ანგარიში“ ხელშეკრულება გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების ავტომატურად მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. რაც არ გამოორიცხავს ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით საფასურის გადახდას.

4. „სახელფასო ანგარიშით“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს ავტომატურად გაუაქტიურდება ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტები:

4.1. მულტისაგალუტო მიმდინარე ანგარიში;

4.2. ინტერნეტ/მობაილ ბანკის რეგისტრაცია და მომსახურება ერთი მონყობილობით;

4.3. პლასტიკური ბარათი - 1 ცალი სადებეტო MasterCard FlexCard აქტიური ბარათი. (საბანკო ანგარიშის დისტანციური არხით გახსნის შემთხვევაში, არ მოხდება პლასტიკური ბარათის ავტომატურად შეკვეთა და კლიენტს შეუძლია ბარათი შეუკვეთოს ინტერნეტ ბანკით);

4.4. SMS სერვისის რეგისტრაცია და მომსახურება (1 აბონენტზე);

4.5. სატელეფონო პინ-კოდი.

კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.1 - 4.5 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე (გარდა 4.2 ქვეპუნქტისა), რა დროსაც „სახელფასო ანგარიშის“ მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.

5. (ამოღებულია)